



BREATHE WELL

ფქოდ-ის გლობალური კვლევების შექმნა

250+ მილიონი

ადამიანია დაავადებული ფქოდ-ით. ის მოქმედებს 40 წელს გადაცილებულ 10-დან 1 ზრდასრულზე, თუმცა ნახევარზე ნაკლებს აქვს დიაგნოსტირებული.

3 მილიონი

ადამიანი კვდება ყოველწლიურად ფქოდ-გან: დაახლოებით 6 ადამიანი ყოველ 1 წუთში.

80%

ფქოდ-ით გამოწვეული სიკვდილობისა მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე.

ყოველი მე-5-ე

ან 20% კაცობრიობისა მოიხმარს თამბაქოს. მოწვევა არის უმთავრესი რისკ ფაქტორი ფქოდ-ის განვითარებისა. დაახლოებით მწველების 20%-ს განუვითარდება ფქოდ.

50-70%

ღარიბ ქვეყნებში ფქოდ-ით დაავადებული მოსახლეობისა არადიაგნოსტირებული რჩება ჯანდაცვის სისტემის არასრულფასოვნებისა და მდგომარეობის ცოდნის დეფიციტის გამო.

\$2.6 ტრილიონი

არის მოსალოდნელი ხარჯი 2030 წლისთვის ფქოდ-ზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. 2010 წელთან შედარებით 2,5-ჯერ მეტია.

ფქოდ-ით დაავადებულ ადამიანებს აწუხებთ უჭაერობა, სისუსტე და მიდრეკილება აქვთ გულმკერდის ინფექციებისკენ. ეს იწვევს პიროვნული, ჯანდაცვის და სამსახურის დაკარგვის შედეგად მაღალი დანახარჯების წარმოქმნას. მრავალ დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ფქოდ-ით ჰოსპიტალიზაცია და ზრუნვა იწვევს ფინანსურ ზეგავლენას სოციალურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე. თუმცა, ამ პრობლემების თავიდან აცილება შესაძლებელია დროული დიაგნოსტიკით და მართვით.

დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ფქოდ დიაგნოსტირდება და იმართება უმეტესად კლინიკებში, ხშირად კილომეტრების დაშორებით პაციენტების საცხოვრებელიდან. პირველადი ჯანდაცვის რგოლი არის პირველი მიმართვის ადგილი ჯანდაცვის სისტემის და სტრატეგიულად მდებარეობს ადგილობრივად მოსახლეობასთან. მას აქვს ფქოდ-ის პრევენციის, დიაგნოზის და მკურნალობის პოტენციალი, მაგრამ ან სუსტადაა აღჭურვილი ადეკვატურად ტრენირებული პერსონალით ან არ აქვს ავტორიზაცია დიაგნოზის დასმასა და მკურნალობაში.

BREATHE WELL არის კოლაბორაცია ბირმინგემის უნივერსიტეტსა და 4 დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების მკვლევართა შორის, რომელიც, შეიმუშავებს მტკიცებულებებს ფქოდ-ის პრევენციის, დიაგნოსტირების და მართვის გასაუმჯობესებლად.

BREATHE WELL

კვლევის ამოცანა

ბრაზილია



ჩინეთი



საქართველო



ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა



სკრინინგის/ტესტირების ხარჯთ-ეფექტური სტრატეგიების იდენტიფიცირება პირველად ჯანდაცვის რგოლში, არადიაგნოსტირებული ფქოდ-ის მქონე პაციენტების მოძიების მიზნით პირველადი ჯანდაცვის რგოლში და საზოგადოებრივ კლინიკებში

კულტურულ კონტექსტთან ადაპტირებული ფილტვების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებადობის კვლევა.

სიგარეტის თავის დანებების ინტერვენციების ტესტირება პირველადი ჯანდაცვის რგოლში.

ფქოდ-ის მქონე პაციენტებში ფიზიკური აქტივობის შემზღუდველი და ხელის შეწყობი ფაქტორების გამოვლენა.

ფილტვების ჯანმრთელობის ახალ სერვისზე პაციენტების და ექიმების ხედვის გამოვლენა.




რა აღმოვაჩინეთ

Breathe Well კვლევებმა დაადგინა ყველაზე მისაღები და დაბალფასიანი მიდგომები ფქოდ-ის შემთხვევების გამოსავლენად, რომელიც მიესადაგება დაბალი რესურსების გარემოცვას.

ჩვენმა კვლევამ ხაზი გაუსვა კულტურულად შესაფერისი სიგარეტის თავის დანებების ხელშეწყობის სასწრაფო საჭიროებას დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც სიგარეტის მოწვევის პრევალენტობა მაღალია, ხოლო პოლიტიკა სუსტი.


ასევე ვაჩვენეთ კულტურულად ადაპტირებული ფიტლვების რეაბილიტაციის პროგრამის მიწოდების განხორციელებადობა ფქოდ-ის მქონე ინდივიდებისთვის. ჩვენმა კვლევამ აჩვენა რომ პირველად ჯანდაცვის რგოლს შეუცვლელი როლი აქვს ფქოდ-ის პრევენციაში, ადრეულ დიაგნოსტიკაში და მართვაში, ამ პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.



რეკომენდაციები

1

ფქოდ-ის სიმპტომების და რისკების შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება და დროულ ზრუნვაზე ზეგავლენა პირველადი ჯანდაცვის რგოლში, საზოგადოებრივი ჯგუფების, ფილტვების რეაბილიტაციის პროგრამაში და ქცევის ცვლილების პროგრამებში მიმართვა.





პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების ცოდნის გაზრდა სიგარეტის მოწვევის თავის დანებების მეთოდების და ფქოდ-ზე ზრუნვის შესახებ, კლინიკური კურიკულიუმის და საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით.

2

3

სიგარეტის თავის დანებების პროგრამის როგორც საპრევენციო სერვისის მიწოდების გზით მწველ ადამიანებზე გავლენის მოხდება და ფარმაცოლოგიური მკურნალობის შეტანა სახელმწიფო პროგრამაში.



ფქოდ-ის შემთხვევების ხარჯეფექტური დიაგნოსტიკის მეთოდების იმპლემენტაციის გრძელვადიანი სარგებლის შეფასება დაბალი შემოსავლის ქვეყნებში.

4

5

პირველადი ჯანდაცვის რგოლში შესაძლებლობების გაზრდის და ინფრასტრუქტურაში ინვესტირება ხარისხიანი კვლევების განსახორციელებლად. შეფასდეს ლოკალური ინტერვენციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.



ეს კვლევა დაფინანსებული იყო ჯანმრთელობის კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (National Institute for Health Research (NIHR)), პირველადი ჯანდაცვის რგოლში ფქოდ-ის შესახებ NIHR-ის გლობალური ჯგუფის, ბირმინგემის უნივერსიტეტის მიერ (პროექტი: 16/137/95) და გამოყენებული იყო დახმარება დიდი ბრიტანეთის მთავრობისგან, გლობალური ჯანმრთელობის კვლევების მხარდასაჭერად. ამ პუბლიკაციაში გამოხატული შეხედულებები არის ავტორების და არა NIHR-ის, ან დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის დეპარტამენტის.

მადლობას ვუხდით ორგანიზაცია ICPRG-ს, იმისთვის, რომ დაგვაკავშირა პირველად ჯანდაცვაში მომუშავე პარტნიორებთან, რომლებიც ამ კვლევაში იყვნენ ჩართულნი და ასევე მათი მუდმივი ფასილიტაციისთვის კლინიკური კუთხით.